

განმარტებითი ბარათი

ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებაში ცვლილების პროექტის მიზანია, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის ამოქმედებამდე გარდამავალ პერიოდში საჭიროების შემთხვევაში ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების საფასურის გაანგარიშებისთვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის შექმნა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2023 წლის 30 აგვისტოს საჯარო სხდომაზე დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

კომისიის 2023 წლის 30 აგვისტოს №41/23 გადაწყვეტილების თანახმად, დადგენილების პროექტის შესახებ მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2023 წლის 27 სექტემბერი 18:00 საათი, ხოლო დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად - 2023 წლის 31 დეკემბერი.